

და განცხადებთ დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გააგრძ. საზოგადოების კანცელარიის ფასი განცხადებასა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეორეზედ—3 კაპ.

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გამოვიდა და ისეიღება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის ძალაზედ

გუნება და ცხოვრება

ილ. ალ ხაზიშვილისა
ფასი 60 კაპ.

ვინც ხეობსენებულ მალაზიებიდან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—18)

ბირველი კერძი სამკურნალო

ექიმის ნავსარდიანისა (კუთხაში, ვორცხის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავსარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნე-ულეობანი: შინაგანი, თვალისა და ნერ-ვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდეგა. 10¹/₂—11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყველის აუტრის.

ზ. ა. ბაბასაძე, 11¹/₂—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კანაშვილი, 1—1¹/₂ სა-ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგია, 1¹/₂—2¹/₂ ს. ში-ნაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მასკალაძე, 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ-ნერვებისა და კანის სნეულეობ.

ბ. ა. ნავსარდიანი—6¹/₂—7 საათ.

ტ. ა. რუდეგა—სამკურნალომ. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკ-როსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

ჩრველ-დარბებისა და რეცეპტების დაწე-ლის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფა-რად; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო სა-მედიცინის ნავსარდიანი. Первая частная лечебница Д-ра Навасардиана.

Тифлиς, противъ памяти. Воронцову. (7)

მთავრობის განკარგულებაში

ბარქუმის ფასტა-ტელეგრაფის გან-ტარის ფასტაფიხის კასილი კიკნა-ძეს სედეში იმპერატორმა უოჯად უმეწაფეს და ჩუბა დაწოთ მისდა ბუ-

ფელეტონი

მეგობრის საფლავი

(ეტრული)

ნომბრის ქარი გულ-საკლავად ჰხუთა. ბუნების სტიქიონთ შეეკ-რებით ძალ-ღონე და განმზადებული-ყვენ ქვეყნის შესაზარად. ცას გა-მძინვარებულ ლომსავით შეეძუნა შუბლი და ბნელ, წყვილად ჯოჯო-ხეთად გადმოჰყურებდა საბრალო ქვე-ყნიერებას, თითქო ერთს წამში სა-შინელის წარღვნით აპირებს იმისს წაღვასა და განადგურებასაო. თუ ხანდახან თავ-შეუკავებელი, ცელქი ვარსკვლავი გამოაქვტდა თვალს ცის კამარაზედ, დაუყოვნებლივ დრუბელი შავ პირ-ბადედ აეფარებოდა და მით აკლმდა ქვეყანას ერთს წამს გულ-ში გაბრწყინებულს იმედსაც. მახ-ლობელ ტყიდგან მოისმოდა მობე-რებულ მუხის ჭრიალი და ეს ჭრია-ლი, ნორჩ, სიცოცხლით და სიამა-ყით სავსე ჭარბების თქიშინთან შე-ერთებული, რაღაც შემადრწუნებელ ზარად გაისმოდა. ამ ზარს მდინარე-ებისა და ჩანჩქერის ხშული ემატე-ბოდა და ეს აორკეცდა საშინელს მოქმედებას. ის ჩანჩქერი, რომელიც

სხვა დროს თვალ-წარმტაც ბროლის მტვრად იზნეოდა ჰაერში და მომხი-ბლავად აბრწყინებლბდა მიდამოს, დღეს თითქო განსდგომოდა ქვეყნი-ერებას და პირი შეეკრა გამხეცებულ ბუნებასთან. ამგვარს ღამეში თვით გაჯახირებულს ადამიანსაც ვერ გა-მომადგმევინებდა ფეხს კარში გაჭირ-ვება. ის თავისს ცოლ-შვილით ეხლა მიფიცებული იყო კერას და იბოზ-და სილატაკით გაციებულს გულს, ყოველს ქოხის შერყევასზედ ჟრულა მოსდიოდა ტანში, რადგან დარწმუ-ნებული იყო, რომ ეს საშინელი ბუ-ნების მძინვარება განგებას მოუვლე-ნია მხოლოდ იმისს თავზედ, რომ აღავოს იგი მიწიდგან, როგორც მომაკვლინებელის ცოდვით შებლა-ლული. ბეჯითად ჩ იყურებოდა საბ-რალო თავისს გულში, ამოწმებდა მას და შიშით შეთხზულს ცოდვებს პირჯვართა და გულში ხელის ცე-მით ინანიებდა. ამ უკუღმართს ღამეს მხეცებიც-კი ერიდებოდნენ: ისინიც ჰგონობდნენ თავისს არარაობას ბუნების წინაშე და შიშით საროებში მოკრუნხუ-ლიყვნენ. ეხლა თვით მსუნაგი, დაუნ-დობელი მგელიც-კი დაიზარებდა სო-რადგან გამოსვლას, თუნდაც შორი-ახლოს მსუქანი კრავი დაენახა უბა-

ხარას კიბრის მიერ ბოქმულ ბუხარას ოქროს მედალას ტარებისა.

დანიშნულ იქმნა: გლეხი დავით კაკაბაძე—ჭუთასის გუბერნიის სასა-ზინოს ბუხარა-ტარის თანამეწე და ჩაირაცხას მესამე ხარისხის საჯანტე-ღარიო მესკელად.

ახალი ამბავი

*. საქართველოს ექსარხოსი ფლა-ბიანე სექტემბრის პირველ რიცხვებ-ში ტფილისიდან გაემგზავრება ეკ-კლესიებისა, მონასტრებისა და სკო-ლების დასათვლიერებლად ტფილი-სისა, თელავისა და სიღნაღის მაზრე-ბის სხვა-და სხვა ადგილებში.

*. პროფესორი ბ. ნი. დოკუჩაივი, მიწის მწარმოებლისა და სახელმწი-ფო ქონებათა სამინისტროს ნასწავლ კომიტეტის წევრი, გუშინ-წინ ყარა-იაზიდან ტფილისს დაბრუნდა და გუშინ დილით ზესტაფონში წავიდა საქარის სანერგეს დასათვლიერებ-ლად. იქიდან ბ. ნი. დოკუჩაივი წავა ქუთაისს, აბასთუმანს, ახალქალაქსა და ახალციხეს სხვა-და-სხვა ადგილე-ბის გასასინჯად.

*. სასანიტარო და საექიმო საბ-ქოს ცნობებიდანა სჩანს, რომ ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში ძლიერ გამრავლებულა მოარულით ავადმყოფობა.

*. ქალაქის გამგეობამ აუკრძალა ყველას ანჩისხატის ეკლესიის და ექ-

სარხოსის სახლის ახლო მტკვარში სხვა-და-სხვა უსუფთაობის გადაყრა.

*. ქალაქის მიერ დაარსებულ ღამის თავ-შესაფარის ზედამხედველი ტერ პეტროსოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და იმის თანამდებო ბაზედ ქალაქის გამგეობამ დანიშნა სააკოვი.

*. ტფილისის გუბერნიის საერო სა-სწავლებლების დირექტორს ბ. ნ. გრო-ზდოვს დაუმთავრებია სომეხთა საეკ-კლესიო სკოლების ქონებისა და მა-მულების ჩაბარების საქმე. როგორც აღ-მოჩნდა, ამ სკოლებში დიდი უწყისო-ება ყოფილა, რის გამოც დაკარგუ-ლა 800,000 მან. მეტის ფულად და ნივთიულობად. ჯერ არა სჩანს, ვის ედება ამ დანაშაულის ბრალი.

*. მომრიგებელ-მოსამართლის მე-ოთხე განყოფილებაში გუშინ შეიდი საქმე გაარჩეს ქალაქის გამგეობის მიერ დადგენილ ნიხრით ჰურისა და ხორცის მეტ ფასად გაყიდვის და აგ-რეთვე უვარგისი საქმელ-სამეღის ხმარებისა გამო. მომრიგებელმა მო-სამართლემ შეიღს მოგაქრეს ჯარი-მის გადახდა გადაუწყვიტა.

*. ამ ემად ქალაქის სამკურ-ნა-ლოში დიდ ძალი ბავშვები მოჰყავთ ყვავილის აცრის მოშობის ასაღებად, რომ სასწავლებელში წარადგინონ.

*. ტფილისის საგუბერნიო მთავ-რობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისსა, გორსა და ახალციხეს რაიმე შეღავათი მიეცეს ჯარისათვის საქარო სადგურების და-ქირავების საქმეშიო.

დაჭარბა აღრინდელი სიბოზო. ანი-კოს არა ჰყავს დედამიწაზედ ნუგეში, იგი უთვისტომია; დიდი ხანია მეზო-ბლები განდგნენ და დივიწყეს უბა-ტრონო, სულ-წაწყვიდელი ევგენის ქვრივი. უბედურმა ანიკოსაც გაიქ-რო გულში ყოველივე იმედი, დაჭ-კარგა რწმენა, სასოება ღვთისა და ქვეყნისა და საოწარკვეთილებაში ჰლევს თავისს გამწვავებულს წამებს. მისი ანიკო ცრემლებით სავსე თვა-ლებით. მისი ოხვრა ქვა-გულსაც და-აღბობს...

სოფლის ბოლოში მოსჩანს პატა-რა გორაკი და მის წვერზედ შემოდგომის ქარით გატრვლებული ჭადარი. თითქო განგებას განგებ აღმოუცენიაო ეს ერთად-ერთი მცე-ნარე ამ ტილის გორაკზედ, რომ მი-დამოს ერთგარობა ირღვეოდეს მი-სის რხევით, ირხევა ობოლი ჭადარი და მით აღვიძებს მიდამოს. დაბლა მიჩრიალებს ანკარა დღე და ძირს ურეცხს გორაკს. აჰა, შემო-ვიდა ანიკო გორაკზედ და სიჩქარით გაეშურა ნორჩ ქა-დრისკენ; მიუახლოვდა იგი ქა-დარს და გულზედ ხელ-დაქობილი შეჩერდა, ერთი ცას შეჰხედა ანიკომ, მერე მსწრაფლ დაუშვა თვალები ძირს და წამოღვარა ცრემლების ნა-

*. პოლიციის მეშვიდე ნაწილის ბოქაულმა აღმოაჩინა საიდუმლო სო-მეხთა სასწავლებელი, რომელიც იმ-ყოფებოდა თურმე ავლაბარში, ლა-ზარევის ქუჩაზედ, თათუზოვის მე-75 №-ის სახლში. ამ სასწავლებელში ბოქაულმა შეასწრო 30 მოსწავლეს, რომელნიც წლოვანიდან 7-დან 15 წლამდე იყვნენ. სასწავლებელი ჰქონიათ დაარსებული ძმათა არსენ და ვარლამ ზაქარაის ძეთ სიმონი-ანცებს. ამათგან პირველს განუცხა-დებია, რომ სომეხთა ნერსესიან სემი-ნარიაში დავამთავრე სწავლაო, ხოლო როდესაც ბოქაულს მოუთხოვნია, წა-მომიდგინეთ სწავლის დამთავრების მოწმობაო, ვერ წარუდგენია; მეორეს-კი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სა-ხელოსანოში უმუშავებია წინად. ამათ უსწავლებიათ მოსწავლეებისათვის: „სომხეთის ისტორია“, გეოგრაფია, სომხური ენა და სუფთა წერა რუ-სულად. წიგნები და რვეულები და-ბეჭდილია, სასწავლებელი დაკეტი-ლია, ჰქვარავანი ოქმია შედგენილი, რომელიც ბ. ნ. ტფილისის პოლიც-მეისტერსა აქვს წარდგენილი.

*. რამდენად დიდი მათი ლოც-ხვი, რომელთაც ტფილისის საშუა-ლო სასწავლებლებში ჰსურთ შესე-ლა, ეს იქიდანა სჩანს, რომ პირ-ველ, მეორე და მესამე კლასაკურ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლე-ბელში ჯერ-ჯერობით ექვსასი არზა შეუტანიათ ამ სასწავლებლებში შე-სვლის სურვილისა და, ამას გარდა, ისე დღე არ გავა თურმე, რომ ათა-მდე ახალი არზა არ მიუვიდეთ ამ სასწავლებლების გამგეობათ.

კადული. ვისა სტირის საბრალო ანიკო? ვინ დაუმარხავს ამ ტილის გორაკზედ ნუ თუ ისე ძვირფასია ეს ცივი საფლავი, რომ ავიწყებინებს ადამიანს სტიქიონების საშინელს ბრძოლას? დიახ, ძვირფასია იგი უთვისტომო ანიკოსათვის! ეს-და დარჩენია საბრალოს ქვეყანაზე ერთს წამსაც არის სულს მოსაბრუნებლად; ხშირად რწყავს იგი მწარე ცრემლე-ბით ობოლ ჭადრის ძირს, სადაც მისი ევგენი ჰმარხია. ორი წელიწა-ლია, რაც დაუმარხავთ ევგენი ამ გორაკზე, უკურთხს საფლავში. ქალი თუ ვაჟი, მოხუცი თუ ახალგაზდა წყვილთა და კრულვით ისწინებს ამ უკურთხს საფლავს. „სულ-წაწყვიდე-ლი ევგენიაო“, იტყვის ხოლმე გლე-ხი და გააფურთხებს, როდესაც შეჰ-ხედავს ამ გორაკს. ერთს ცხონებას არავინ უთვლის საცოდავს ევგენს; სიცოცხლით ჩაშხამებულს საფლავ-შიაც არ აძლევენ მოღვენებას! ვის რა დ უშუა, ვის რა მოსტაცა? ვერ შეებრძოლა ევგენი შავბედის ტალ-ღებს; არ დაინდო დაუნდობელმა, ჩაითრია მორევი და დაარჩო! ერთს დილას ევგენი დანით ყელ-გამოჭი-ლი ნახეს, თავი მოიკლა... რა იყო მიზეზი ევგენის საშინელის სიკვდი-ლისა? რად მოიკლა მან თავ ? მგ



ბნმა ტფილისის გუბერატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ჩემ მიერ დამტკიცებული ქალაქის საბჭოს 18 მაისის დადგენილება იმის შესახებ, რომ სესხი იყოს აღებული ცხენის რკინის გზის წარმოების ყოველის დანაკლისის შესავსებლად. ამ დადგენილებით ქალაქის გამგეობამ გარდასწავიჭრა, რომ მცირე ვადით სესხად აიღოს ერთ ერთ საკრედიტო დაწესებულებისა ანუ კრძო ფულის პატრონისაგან 88,600 მან., სამის წლის ვადით, ისე-კი, რომ წელიწადში 8% ნაკლები არ იხადოს.

ტფილისის რეალურ სასწავლებელში ეგზემენები დაიწყო ავგო საგნისა: პირველსა და მოსამზადებელს კლასებში 21 აგვისტოს, მეორესა და მესამეში — 22 აგვისტოს, ხოლო მეოთხესა და მეხუთეში — 24 აგვისტოს. მისაღები ეგზემენები ახლად შემოსვლელთათვის იქნება 26, 27 და 28 აგვისტოს. ვისაც თავისი შევლის მიხედვით მსურს ამსწავლებელში, თხოვნა, რომელსაც თან დაართული უნდა ჰქონდეს მოწმობანი წლოვანებისა და ყვავილის ატრისა, წოდებისა და აგრეთვე ფოტოგრაფიის სურათი, მიიღება 26 აგვისტომდე დირექტორის მიერ, ანუ სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, დღისასწავლებს გარდა, დღის 10 საათიდან ნაშუადღევს პირველ საათამდე. სხვა სასწავლებლებიდან გამოსულთ უნდა წარდგინონ იმ სასწავლებლებიდან დოქონის ბარათი.

ძალიან ვრცელია მეორე კლასისათვის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების ახალი პროგრამა, რომელიც ეს არის ეხლა დაიბეჭდა. ამ მეორე-კლასიან სასწავლებელში მიიღებიან ისინი, რომელთაც პირველ დანაწილის სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებიათ. სწავლა სამსწელიწადს უნდა იყოს. ყოველ დღეს ხუთი გაკვეთილი უნდა იყოს და თითოეულმა გაკვეთილმა 3/4 საათს გა-

სტანოს. უმთავრესად შემდეგი საგნები უნდა ასწავლონ ამ სასწავლებლებში: საღმრთო წერილი, საეკლესიო-სლავიანური ენა, რუსული ენა და ლიტერატურა, საეკლესიო გლობა, დიდაქტიკა, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, არითმეტიკა პირველ-დაწყებით აღგებრივით, გეომეტრიული მოხაზულობა და მიწით მომუშაობა, ფიზიკა, ქიმია, კოსმოგრაფია, სასოფლო მეურნეობა, საქონლის მოშენება, მეზობლანობა, ბალანსობა, ჰიგიენა და მცირე კურსი აგრონომიისა.

«Вѣст. Винод.» სწერს, რომ სამელიორაციო სესხი მიეცემა ამიერ-კავკასიაში მხოლოდ იმათ, რომელნიც ღვინის წარმოებას მისდევენო. სესხი მიეცემათ ღვინის საწარმოებლად 15 წლის ვადით, სარდაფების ასაგებად და საკრო იარაღების შესაძენად — 10 წლით და მხოლოდ იარაღების შეძენის მსურველთ — 7 წლის ვადითაა.

გაზ. «ახ. მიმ.» სწერს, რომ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგელ ჰნიშნავენ ტაშკენტის ბანკის გამგეს ბნ შეტკინსო.

გაზ. «მშვიკი» სწერს, რომ საერო სასწავლებლის დირექტორმა მიჰმართა იმათ, რომელნიც წიგნებით ვაჭრობენ ტფილისში, და მოსთხოვა სია იმ წიგნებისა, რომლებსაც ჰხმარობდნენ სომეხთა საეკლესიო სასწავლებლებში.

განჯიდგანა სწერს, რომ «თარაზს», რომ ადგილობრივ მთავრობას განზრახვა აქვს გამოცემა გაზეთი „Елисаветополь. Губ. Вѣдом.“ გაზეთის რედაქტორად დანიშნულ იქმნება სასტატისტიკო განყოფილების მოხელე სეგალიო.

სოფ. ალაგარი. 31 ივლისს აქაურმა მოიჯარადრე ფრანგებმა ფულის მისაღებად გაგზავნეს ღარგკობში აბაგულოვი, რომელსაც მიუღია 12,000 მან. და დაბრუნებულა უკან.

გამოცდარა თუ არა სოფ. არღონს სხვა მგზავრებთან ერთად, წინ შეპყრობით რამდენიმე სხვა ნაირად ჩაცმული კაცი, რომელნიც თამაშობდნენ თურმე გზაზედ და ართობდნენ მგზავრებს. მოთამაშეთ დაუნახეთ თუ არა ეტლში მჯდომი აბაგულოვი, ეტლი შეუჩერებიათ და უბრძანებიათ, რომ ამ საათში ფული მოგვეცითო. დაუჩინეს თურმე ყველა ეტლში მჯდომს ჯიბეები, წაართვეს აბაგულოვს 12,000 მან. და საცალა მიიშალნენ. გაძარცვულები გამწარებულნი ამოვიდნენ ალაგირში და შეატყობინეს ადგილობრივ პოლიციას თავიანთი თავდასაცვალი. პოლიცია მაშინვე ბოროტ-მოქმედთა ძებნას შეუდგა, მაგრამ დღესაც ვერსად ვერ მიუგნია.

4 აგვისტოს აღექანდრეს ბალის გვერდით ტფილისის მცხოვრებელს ნესტორ ნეფარიძეს ტფილისის მოქალაქემ სარქის ანტონოვმა, იმისა მიუხედავად, რომ იქ დიდძალი ხალხი იდგა, ახალუხის ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოსტაცა ვერცხლისგვექვეით და უნდა გაქურთულიყო, მაგრამ შეპყრობილ იქნა და სასამართლოს გარდაეცა.

შეცდომის განხორციელება. ამას წინააღმდეგობა გაუწიდა, რომ ქ. ქუთაისში ქართული წარმოდგენა იყო გამართული აღექანდრე ფეიქრიშვილის მოთავეობით ხიზაბაძის ეკლესიის სასარგებლოდ. ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეს წარმოდგენა ბნ გიორგი სტეფანეს ძის აულოვის მოთავეობით ყოფილა გამართული და არა ბნ ფეიქრიშვილისა, როგორც ჩვენა გვეწოდნენ.

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კახთისხეში, (გორის მაზრა). ყანების მკა დასრულდა და ხალხი ურძობით მსებს ექადება თავიანთ კალაქებზე. შიგა და შიგ კალაქები შეიპა და მოსიშის ზატარა ბიჭების მხურება და სიმღერა. როგორც სჩანს, ჭირნახულს კარგი გამოსავალი აქვს და შურად ძალიან უხარჯება. სიმინდს ძალიან გასჭირდება მოწვევა და შექცანა.

მტერი მოყვარისაგან. მაშ იცოდა, რომ ჩვენის ტანჯვის უმთავრესი მიზეზი არის უმეცრება. ამ უმეცრების გამო ვერ გვიცნია ქვეყნად ჩვენი მოსისხლე მტერი... მოლაღატე იუდას ამბორი ჩვენში ლომობიერებას იწვევს; ქეშმარიტს მოციქულს-კი ექვეით შეგყურებთ... ათას წლობით მკარავლობის სუფევამ დაგვიჩლუნვა გრძობა და გონება; ვალმერებთ და ცნობიერად საკმევს ვუკმევთ ჩვენს მტანჯველებსა და მძარცველებსა. ჩვენ ჯვარს ვეცმევით, მტლად ვედებთ ჩვენგან განვიფრებულს, ჩვენივე ნაწივ-ნადავთ ვამაყებულს კერას! ჩვენ ღვთის ნებად მივგარნია მძარცველების სუფევა; ღვთისგან ცხებულად, სასოებად მიგვარნია ისინი. მზადა ვართ გამოგეკამათოთ მათ წინააღმდეგ მოქალაქეს და გმირულად შევებრძალოთ. ვანა ვიცნობთ ჩვენ ჩვენს მოკეთებებს! ვანა ვიცნობთ ჩვენ იმ ადამიანებს, რომელთაც ძილს უფთხოვს ჩვენი ბედა! უანაფორო ჩვენ არა გვწმს ქრისტეს მოციქულად. იმთ-კი არ ვიცნობთ, იმ ლატაკობრების დაუღალავ მოსარჩლეთა, რომელთაც ქრისტიანობის სიყვარულის ლამპარი დღემდის არ დაუქვრიათ, რომლითაც მაცხოვრის დიდებული აზრები მარტო

რა, თუმც თანდითან გამოკეთებს იწუბოს, რადგან ამ ბოლოს დროს წიგნა და ნამი არ აკლდება. ესაა გავთისსეკში სავამისად გრადსა.

წელს, როგორც ეტყება, ძალიან კვიანს წელიწადი, რადგანც კვლავ ამ დროს ძალზედ გახურებული ლექსი უფილია და ესე-კი ჟურნალიანად არ არის გამართული ლექსი და თუ უბა ვისმე კალა, ისიც იმას, რომელსაც ჭირნახული შემიკვლავ და ეშურება მისეველს ცოლ-შვილს ერთი ლექსი პური, რადგან უადგის სისხარა არსადგანს აქვს. კადი პური აქ ამ უამად თორმეტი აზარა, თუ პირველი ხარისხისას აუადო, სამს მანუხედ ნაკლებად იშოკათ. რაც შეეხება კენსახებს მოსავალს, ჟურნალიანად კარგი პირი უჩანს, თუ პირე არ წახდა, რადგანც აკურ ეს ოთხი წელიწადი მეტად, რაც კენსახები სწორედ დასწავლებას დროს უჭკვება სოფელს. მეტადე უფრო სავერაგის ვახა ზიანდება, თვლი რომ შეიდას ამ დროს ფთვლები ყვითლებდა, ნყოფის გუწი უჭკვება, საზრდაობა აკლდება, მერე იშობება სრულიად და ძირს სცვება. მოსავლადგანა წელსაც ასე მოუვა, რადგანც არ უწამდეს. აქ არ შეგვიძლიან არ ანუხსოთ და არ მოკავოთთ აქაურ ადგილობრივ მოსელებს: მამასხლისსა და სასანიტარო კომისიას ის უსუფთაობა და გზების გაუკეთებლობა, რომელიც სოფელს კავთისსეკში ქსუფებს. შეხვალთ თუ არა სოფელში, მამსევე აგრძნობთ სასანელ მანუხებს სუნს სასუქისა და ნაკვების, გზები ხომ დმერთმა შეიანახოს. რაც უნდა დიდი საძნე ურება მიტკონდეთ, თუ არ გაუფთხილდეთ, აუცილებლად გადაგებრუნდებათ. ურთავს არ იხამდა ვისიც ჟურნალიანად, უურადგება მიტკონის ამ საქმეს, რადგანც ამ გვარს უსუფთაობას მრავალი სხვა-და-სხვა სენი მოსდევს და ხალხი მართლაც ძალიან შეწუხებულია მოუქმეებულის ციბე-ცხელებით, თუმც ამითა ზატარანი და ექმი არსად სჩანს.

აქ არის ერთი უხანა, რომელსაც «ჩიკანთ უხანა» ეწოდება. ამ უხანამ რამ-

უქმ სიტყვად კი არ რწმენიათ, არამედ თავი უმხვერბლებით მისის განხორციელებისათვის... მათს სახეს ნათლად ამჩნევია სიძნელე იმ ხვედრისა, რომელიც მათთვის განგებას ურგუნებია; აზროვნებით დაიარაღებული ჩვენს აუარებელს მტრებს. მეტის ბრძოლით ილაჯი წართმევიათ, დაქლებულთან, თვალები ჩასცივნიათ, სულთ-მობრძავს დამსგავსებიათ, მაგრამ მინც თავისას არ იშლიან: უკანასკნელ სისხლის წვეთ-მდის იბრძობენ ისინი მძარცველებთან ჩვენდა საკეთილდღეოდ. ვსურს მავ ქლექიანების ცნობა, მათის მოქმედების შეტყობა? მაშ შეხებდე!

ანიკომ შეხებდა ცას. ცისკიდურზედ გამოისახა სურათი, რომელიც წარმოადგენდა პირველ ქრისტიანობის დროის აკლამებს; სანთლის შუქი ძლივს ანათებდა აკლამების სიბნელეს. რამდენიმე შავად ჩაცმული კაცი მოსჯდომოდ მივიდა და დრო ფიქრით გატაცებული ჩასტკეროდა წიგნს. უფრო ძველების ჩონჩხსა ჰგავდნენ ისინი, ვიდრე ადამიანებს. დრო გამოშვებით წაილაპარაკებდნენ და ისევ ფიქრს მიეცემოდნენ... უცებ გაიღო აკლამების კარი და შიგ შე-

დენიე ს.ნია ძველი კვლევა ჩანს, რა იმ განზრახვით, რომ ახალი ჯექსებისა, მაგრამ კერავით ველარ მოახერხეს და ესაა უკვლევისად არიან, თუმცა ნახევარზედ მეტი ამუხებულია და ბუკრი ხარჭიც არა უნდა, მაგრამ მოთავე არა ვინ არის და საქმე ასეა გახურებული. როცა დიდ-მარცხ დადგება და გაასხენდებათ კვლევისა, ასტუენ ერთს სპონელს უყვანს; ხან სახლში ლოცულობენ და ხან თავალში, მხოლოდ წიარების დროს-კი შტატის კვლევისაში გადადის გათისსეკს, რომელიც კარგა მომრეებით არის ამ უხანისაგან. იმედი გვაქვს, ჩვენი ახლად დანიშნული მღვდელი ვადაამ მასამე უურადგებას მიატყვეს თავის მრევლს და კვლევისას დასრულებინებს, რადგანც დროც ესეა, თორემ ზამთარში რაღა იქნება.

არ შეგვიძლიან აგრეთვე არ გავხსნოთ ის განჭირებული მღვდამრება, რომელიც კავთისსეკი იმყოფება უბრძნობისა გამო. მატარებლათ მიმავალი კავთისსეკისკენ ქსის რკინის გზის სადგურში უნდა გადმოსტეს, რომელიც თორმეტის გვსისა სიმორეკვა კავთისსეკისაგან, თვით სოფელში უნდა გასვდეთ ბორნით, მაგრამ ვაი იმ — გასვლას, რადგანც ბორნის სასამარობები სრულიად წამდარა და შეიდა რვა საუენი უნდა ორს კინებურს სეხედ გაიანოთ, ვადრე ბორნის მიადწევთ. გვიკარს ბორნის ზატარანის კვ. გედკანიშვილისაგან: თუ გასაყვანს ფულს ახდევინებს ხალხს, რატომ ბორნისად რიგანად არ აკეთებს და არ ადგენს ხალხს ამ შამსა და განსადგელს.

ივ. კავთელი

ა ნ მ ა რ ი შ ი

„მაჩხანის მომხმარებელ საზოგადოების“ წევრთა წლიურ კრებისა.

(შემდეგი *)

ივ. მატიაშვილი. თავმჯდომარემ წაიკითხა, რომ ილ. მატიაშვილზედ ვალად არის დარჩენილი 394 მ. 80 1/2 კაპ. მე დეპოსი არა მიმართებს.

მოცივდა ხრიალით ხალხი. დიდს სხვა-და-სხვანაირობას წარმოადგენდა ეს ხალხი. იმთში ერივნენ ყავარჯნებზედ დაბეჯილი გლობები, ბრმები და სხვა ბევრ-გვარი ავადმყოფი და მშვიერ-უზატრონონი... ანიკომ იცნო ბევრი მათგანი. ამ ხალხის შემოსვლაზე ქლექიანები უცებ წამოცივდნენ თავიანთ ადგილიდან და მიეგებნენ. ხალხის წუწუნსა და ხრიალს არ ჰქონდა დასასრული: ზოგი პურს თხოულობდა, ზოგი წყალს, ზოგი წამალს... აი, შეიქნა ქლექიანების მოძრაობა: ზოგს პური მოაქვს მშვივებისთვის, ზოგს წყალი მწყურვალთათვის, ზოგი მალამოს ადებს იარებზედ ავადმყოფებს, ზოგი წამალს ასმევს. ხალხმა რაკი დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნილება, დაუჩნდა და დალაგდა იატაკზედ, ხალხი რალცის სასმენლად მიეზნადა... ბოლოს გამოვიდა ერთი ქლექიანთაგანი, შეჩერდა ხალხის წინ და დიდხანს ებახებოდა დიდის აღტაცებით რალცას. იმის ცოცხალ-მკვდარს სახეს წურწურით იფლი გაღმოსდიოდა. ვათვა მან სიტყვა და ფიცის ნიშნად ალაპარაკა ხელი ზეცისკენ. იგივე გამოსახა მიეღმი ხალხმა; ნათლად სჩანდა, რომ ქლექიანებმა და ხალხმა რალცა შეშვიცეს ერთმანეთს. ხალ-

საიდუმლოა... მართალია, ქუთათამყოფელი კაცი უმეცრედ თავს არ მოიკლავს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ მიზეზის გაგება ისევე ძნელია, როგორც გაგება გულის სიდრემში დაფარულ საიდუმლოსი. ადამიანის ქუთა ძლიერია, მაგრამ ვერც ის მისწვდება ამ საიდუმლოს. გულის ნადების გამოცნობა და გამომტლავება შეუძლიან მხოლოდ გულს, გრძობით აღლვებულს... თავის-მკვლელს ცვვენ სოფელში ნაკურთხი მიწაც არ აღირსა. დაჰმარხეს ის ამ უკურთხეს საფლავში და წყველა-კრულავაც თან ჩატანეს; ეხლა მოვიდა ანიკო გორაკზე, რომ ჩვეულებრივ დაუღტო თავისის ქმრის დაუტრებელი საფლავი. ტირილის დროს უცებ ერთი შეპკვლა ქალმა და პირქვე დაეზოა საფლავის წინ. საშინელი სანახაობა წარმოუდგა მის თვალს: მსწრაფლ იგრილა რალცა ძალამ; განქრა უკურთხეს საფლავზედ ჯოჯობეთის სიბნელე და მის მაგიერ აღმობრწყინდა სამოთხის ნათელი. გაისმა ციურის ზარი ანგლოსთ დასთა და ჩამოეშვა უკურთხეს საფლავზე ახალგაზდა მშვენიერის სახის კაცი, ციურ ნათელით გაკაშკაშებული. „მრავალ-ტანჯულო!“ მიჰმართა



რა. პირ-იქით, მე ვიცი, რომ გამგებობისათვის გადადებული დივიდენდში წილი არ მომცეს, როდესაც მე გამგებობის წევრად ვითვლებოდი და, როგორც სხვები, მეც თავლები ვიყავი ჩემის ქონებით გარდასახვად, თუ რამ ზარალი იქნებოდა.

დ. ნადარაძე. ამ დავის გარდასახვებზე უკვე კომისია იყო არჩეული. ვთხოვ კომისიას თავისი დადგენილება გამოუცხადოს საზოგადოებას.

თ. ნ. კრასთავა. (წევრი ხსენებულის კომისიის) კითხულობს ოქმს. ამ ოქმიდანა სჩანს, რომ მატიაშვილისთვის კომისიის დივიდენდი არ მიუცია, რადგანაც სულ რამდენიმე თვე უმსახურია აკრეფვე კომისია გამგებობას ნებას აძლევს განათავისუფლოს ბ. ნ. მატიაშვილი, როდესაც ყველა ანგარიშებს გაასწორებს დეპოსთან.

ი. მ. მატიაშვილი. ვთხოვთ ის ხელწერილი წაიკითხოთ, რომელიც ჩვენ საზოგადოებას მივეცი იმის შესახებ, რომ თუ ზარალი იქნება, ჩვენ გადავიხადოთ.

(თავმჯდომარე კითხულობს).

დ. ნ. ზეკელიძე. ის დივიდენდი, რომელსაც ბ. ნ. მატიაშვილი თხოულობს, არც დანარჩენ გამგებობის წევრებს მიუღიათ, სულ ერთად დეპოს დაუბრუნდა.

მ. დ. დეკანოზიშვილი. იმ ანგარიშის დაწვრილებით განხილვას, რომელიც დღეს საზოგადოებას წარმოუდგინეს, აქ ეხლა არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის მიზეზი, რომლებსაც გამგებობა ასახელებს ვაქრობის დაცემისა და მასთან ზარალის ასახსნელად—მე სამართლიანად არ მიმაჩნია, ამიტომ რომ ერთი და ორი კი არა, შვიდი წელიწადიც არის, რაც ქიზიყი ეკონომიურად გაქირვებაშია.

მ. ნასიძე. არის რამე წესი დადგენილი ნისიების გაცემის შესახებ თუ არა?

დ. ნადარაძე. პირველად მე წინააღმდეგი ვიყავი ნისიებისა, მაგრამ ილ. მატიაშვილი და სხვანი თანახ-

მანი არ გამიხდნენ. შარშანდღეობა კრებამ დაგვავალა ნისიების გაცემა და თან წესის შედგენადაც დადგინდა ამ საგნის შესახებ. ეხლანდელი კრების პროგრამაში შედის მავ წესის განხილვა და დამტკიცება.

მ. ნასიძე. არც მე ვარ თანახმა გამგებობისა, რომ ვითომ ის გარემოება იყოს მიზეზი, რომელსაც იგი ასახელებს ვაქრობის დაცემის მიზეზად. ჩვენ თუ ყველაფერი მარტო კრიზისითა და მოუსაველობითა ვზომეთ, უეჭველია შეცდომაში შევალთ. აქა სთქვამს, რომ თქვენ სულ 400 თუმანი შემოგიტანიათო, მაგრამ იმას-კი აღარ ამბობენ, რომ თითქმის ამოდენავე ნისია არის გასული. სხვა-და-სხვა წერილობითი ნისია რომ არ ვინაგარიშოთ, მარტო ერთს გამგებობის წევრს ამ ორის წლის განმავლობაში გაუტანია საქონლითა და ფულად—978 მ., ე. ი. თითქმის ასი თუმანი ერთს წევრს უსარგებლოდა აქვს. ჩვენ-კი ვალს ვიღებთ და სარგებელს ვიხდით. ეს კიდევ არაფერი. ვისაც ჩვენა გვმართებს, სარგებელს ვაძლევთ; ვისაც ჩვენი ჰმარტობს, — იმას-კი არას ვახდენებთ. ასე გონია, ჩვენი ფული-კი ფული არ იყოს. ჩვენ აქ გვეუბნებიან—თქვენ რა გინდათ, თუ რამ ზარალი იქნება, გამგებობა თავისის ქონებით გარდასახვებდავსო. ჯერ ერთი, რომ წაკითხულს პირობის წერილში იმდენი „თუ“ არის, რომ ზარალის დროს ვინ იცის ვინ იქნება დამნაშავე და მოვალე. მეორეც ის, რომ, რაც საზოგადოება დამტკიცდა, ზარალი თუ იქნება, წევრები იქნებიან ზარალში და სხვა არავინ. იხილეთ წესდების § 18.

ა. ხსნაზარაძე. აქ, როგორც ვხედავ, დას-დასობა არის. ერთნი სიკეთის, მოგებისა და წარმატების მეტს ვერასა ჰხედამენ, ხოლო მეორენი—ზარალისა, შექმისა და საქმის დამზობის. იმ კაცს, რომელსაც უსაყვედურებენ ორი წლის განმავლობაში 978 მან. ნისიის გატანას (ვინ იცის იქნება ნახევარი გუშინაც წაიღო) თითქმის უსარგებლოდ ჩვენს დეპოში

შემოუტანია 2,000 მან. და, გარდა ამისა, ოთხი წელიწადი უსასყიდლოდ უმსახურია საზოგადოებისათვის.

დ. ნადარაძე. თქვენ ჩვენთვის მოგიტანა 400 თუმანი, ჩვენ-კი ეხლა თქვენ გაბარებთ 18,000 მან. საქონელს. ვალეები თუ არის, ჩვენა ვაქვს აღებული, შეიდას თუმანდის ღირებულს ვექსილებზედ ჩვენ გვიწერია ხელი. ამიტომ მოვალეები თუ მოვლენ, ჩვენს ქონებას დაწვებიან. ჩვენ იმდენად პატივსა გცემო და გენდობით, რომ თქვენთვის და საქვეყნო საქმის სიკეთისათვის შეიდას თუმანობით ვალეებს ვიღებთ და თქვენ-კი ორმოც სამოც თუმანს არ გვენდობით ჩვენისავე ნასესხებიდან. რა დაუძახოთ ასეთს საქციელს, თუ არა უმადურობა და წინ დაუხედაობა. ეხლა გაბარებთ 18,000 მან. საქონელს... თუ არა გჯერათ, მობრძანდით გაზომეთ და აწონეთ. თუ არა გჯერათ, რომ დეპოს შენობაზედ სამასი თუმანია დახარჯული, თქვენის სურვილისამებრ ხვალვე ფულად დაგიბრუნებენ ამშენებლები. რომელსაც ბ. ნ. ნასიძე უსაყვედურებს, ას თუმანდის ნისია აქვსო, სწორედ იმისი ფული გვაბრუნებს სულს, ის ას-ას თუმანობით აშველებს დეპოს ფულს უსარგებლოდ და უსასყიდლოდ ემსახურება საზოგადოებას ოთხი წელიწადი. რაც შეეხება გამგებობის წევრების დანახარჯს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ შინაურული პირობა ვაქვს—თვეში სამ-სამი თუმანი ვივალთ დეპოსაგან დივიდენდის მიღებამდის, ხოლო თუ დივიდენდი არ შეგვხდება, მაშინ უნდა ვიშვავოთ და შევტანოთ. ხვალვე მიიღეთ გამგებობის წევრების დანახარჯი, ოღონდ იშვავნეთ რივიანი გამგებობის წევრები და განგვათავისუფლეთ ჩვენის დიდის ხნის თხოვნისამებრ.

გ. ტყეშელაშვილი. ერთს რასმეს მივაქცევ საზოგადოების ყურადღებას—დეპო-დან გატანილია ნაღდად, ბარათებით და საქონლით. ფულის გატანა უკანონოა, დეპოს შესახებ საყვედურის ნახმად მომქმედი ხალხი..

ეგგენი და ანიკო მიამჩნევენ ცისკიდურს. იქ გამოისახა ახალი სურათი: გამოჩნდნენ ოქროს კოშკები და პალატები, ბროლი-მარგალიტით შემკულნი. ოქროს მთებზედ ბროლის აფრქვევდნენ ოქროსავე შადრევანები. ოქროს ქუჩებზედ მარად გარბოდნენ ოქროსივე ეტლები, ოქროს სირმით გაწყობილის ცხენებით. შუაგულს ქალაქში გამოჩნდა ოქროს ციხე, რომლის კარებზედ ბრწყინვალე აღმასის ანანებით ეწვრა: „ქვეყნის დიდება და ძლიერება!“ გარს ეხვია ციხეს მთელი რაზმი ოქროში ჩაშვადარ დარაჯებისა.

განისმა შორიდგან ხალხის ბრიალი და თვალს წარმოუდგა შესაშინებელი სანახაობა: თითქოს მთელის დედა მიწის ქიანქვლების ბრბო კაცებად გადაქცეულან და მოდიან ქვეყნის წასალეკადაო. ეს აღორცილებელი შავი ხალხი მოპოვრავდა ზევივით და თაფხ-ხმალის მაგიერ ის დაიარაღებულყო თოხებით, ნიჩბებით, ბარებითა და სარებით. ხალხს წინ მოუძღო დნენ გაბრწყინვალეების სახით ქლექიანები. იმათს სახეს ეხლა წინანდელი ფერი დაეკარგა და სიციცხლით საგვ გამომეტყველება მიეღო..

მეტი არა მესმის-რა. ამბობენ, საქონელი არ ვარგაო... გოგირდი ყოფილა ორ გვარი..

თავმჯდომარე. (აწყვეტინებს.) ვთხოვთ მოქორიკანებულს ამბებს თავი დაანებოთ.

გ. ტყეშელაშვილი. ვთხოვთ მდივანს ჩასწეროს, რომ ლაპარაკის ნებას არ მძლევენ.

მ. ნასიძე. ჩემი სიტყვების საწინააღმდეგოდ ნათქვამის საპასუხოდ მაინც იმს ვამბობ, რომ ის 400 თუმანი, რომელიც ჩვენ მიგვიცია გამგებობისათვის,—აღარ არის, გასულია დეპოდან, ნისიად დაფანტულა. რაც შეეხება იმას, რომ საქონელი გვიწყვია, მაგ საქონელს თავისი პატრონები ჰყავს ქალაქში. ჩვენი ფული ნისიად დაიქსაქსა და ვაქრობაც შეჩერდა. სხვა პირობებიც მწამს, მაგრამ ცენტრი სიმძიმისა მაინც აქ არის.

ა. ხსნაზარაძე. თუმცა ბევრი ვეძებ, მაგრამ ის „ცენტრი“, რომელიც ბ. ნ. ნასიძემ დასახელა, მაინც ვერ ვიპოვე. რომლისაც ჩვენ უსარგებლოდ ორასი თუმანი გვექონია, სა-მაგიეროდ იმისათვის ჩვენ გვისესხებია ოთხმოცი თუმანი. აქ „ცენტრი“ რა მოსატანია?!

დ. ნადარაძე. ჩვენში მავნე დასობა არის გაჩენილი. იმის მაგიერად, რომ საზოგადო საქმეში ერთმანეთს მხარი მივეცეთ ხალხის სიკეთისათვის, ერთმანეთის მწვეტიანობაში ვატარებთ დროს საქვეყნო საქმის გასათახსირებლად. 400 თუმანში 1800 თუმანის საქონელი გიწყვიათ ქარვასლასავით მაღაზიაში და სხვა რა გნებავთ?!

მ. დ. დეკანოზიშვილი. აქ თუ მოტყუება არ არის, 400 თუმანი 1800 თუმანად როგორ იქცა ასე უცებ?!

დ. ნადარაძე. ჩვენგან ნავალეების ფულითა და საქონლით და არა თქვენის მეცადინეობით?!

თავმჯდომარე. ამტკიცებთ ანგარიშს, თუ არა?

წევრებმა ერთ ხმად, გარდა რამდენიმე პირისა, დაამტკიცეს ანგარიში.

აჰა, დაეძგრა ციხეს ხალხი კიცი-ნით... ერთი წამი კიდევ და ის თავისს ნაწოვ-ნადაგს დაიბრუნებს... ამ დროს უცებ ხალხი შეჩერდა და უკან დაიძრა: მის თვალ-წინ გამოჩნდა მსხვილ მუცლიანი ვეშაპების თავი ოქროს ქუდით და ტანისამოსით; მხარს უშვებდა მას დიდებული ამა-ლა. შეჩერდა ის განმეცხვებული ხალხის წინ; შეიქმუნა შუბლი და მრისხანედ დააბრიალა თვალები... საბრალო ხალხმა ვერ გაუძლო მის თვალებს; დაფრთხა და როგორც ერთმა კაცმა, გაქუსლა უკან. ბრძოლის ველზედ დაჩნდნენ ოღალ ქლექიანები..

შეიცვალა ცისკარზედ სურათი. ტრიალს მინდორზედ ჯვრები აღემართად და ზედ ხელ ფეხით მიეჭედათ ადამიანები ეკლის გვირგვინით. სამოთხის ნათელით უბრწყინავდათ ჯვარზედ წამებულებს სახე და ნელის ხმით დაჰმღერდნენ:

„ვერ დააკავეს ნიაღვრის რკინის კედელი, მედგრად შეებრძვის, გაჰშობთქს კედელს მისი ძალიო. ღმერთი არის ჩვენი შემწე, ჩვენი მფარველიო—ვერ იხიერებს ბოლომდის ქვეყნის მტანჯველიო!“

იქვე იდგა ხალხი და გულ ცივად

შემდეგ კრებამ, ბ. ნ. მატიაშვილის წინადადებისამებრ, დაადგინა საზოგადოების საპატია წევრად ამოჩრეულ იქმნას ტფილისის გუბერნატორი, ბ. ნ. თ. ა. ბიკოვი, რომელსაც ეს ამბავი მაშინვე დეგეშით ეცნობა.

(დასასრული იქნება)

უცხოეთი

ისპანია და შავი თეთრი შტა-ტმბი.

ზავის ოქმი სულ ექვსის მუხლისაგან შესდგება. პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ესპანია ხელს იღებს კუბაზედაო. მეორე მუხლის ძალით ამერიკის ეთნობა პორტო-რიკო და სხვა ვესტ-ინდის კუნძულები, ხოლო მესამე მუხლის ძალით—ქალაქი ნავთ-სადგური და ციხე მანილია, იმ დრომდე-კი ვიდრე ფილიპეს კუნძულების საქმე იქნება მოწყობილი, მეორე მუხლში სწერია, რომ კუბა. პორტო-რიკო და ვესტ-ინდის სხვა კუნძულები დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს ესპანიის ჯარისაგანაო. მეექვსე მუხლი შეეხება ორსავე სახელმწიფოს დელეგატებს, რომელნიც მოსალაპარაკებლად პარიში შეიკრიბებიან არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა და, დასასრულ, უკანასკნელ, მეშვიდე მუხლში ნათქვამია, რომ ორსავე სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებს დაუყოვნებლივ უნდა ეუწყოს ზავის ოქმის ხელ-მოწერის ამბავიო.

— დღემდის ამერიკამ ომის გამო 150 მილიონი დოლარი (დოლარი 2 მანეთია) ხარჯი გასწია; ამის ნაცვლად პორტო-რიკო და სხვა კუნძულები შეიძინა. ასე რომ შეერთებულ შტატებს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლია, თუ არ ჩავთლით, რასაკვირველია, ჯარის-კაცებისა და აფიცრების დაკარგვას. სამაგიეროდ ესპანიამ 2 მილიარდი ჰენტი დახარჯა და მოგებით-კი არაფერი მოუგია. გარდა ამისა ამ ომმა

ისმენდა წამებულთა სიმღერას..

განქრა სურათი.

ანიკოს აფერებინა პირზედ ხელი და გულ-საკლავად ქვითინებდა. „გასწი, ანიკო!“ შესძახა ეგვანმა. „ეხლა ხომ შეიტყვე ჩვენის უბედურების მიზეზი! გასწი და ამცენ ჩვენს უმეცარს ხალხს ქეშმარიტება, ამცენ ერთობა, ძმობა!“ ამ სიტყვებით მიიმალა ეგვანი, დიდხანს გასცქერდა იმის კვალს საბრალო ცალი.

გათენდა. მზემ მოავარაყა ტყის წვეროები. დილის ნახმა ნიაგმა ააშრილა თითო-ორიო ხეზედ მირჩენილი მიყვითლებული ფოთოლი. ჩანჩქერი გადმოიუხრებდა და სვეტაქ ბროლის მტვრად იბნეოდა ჰაერში... საფლავზედ დაჰკვარ ანიკოს დაცვარული თმა აღმასივით ბრწყინავდა... ბუნება ვეფხვთან ნაომარს ლომსა ჰგავდა. ეხლა ქანც-წართმეული ლომი დამცხრალიყო და იწვა მიწაზედ. მშვიდი, ღმობიერი სახე მიეღო, თითქოს წელანდელს დანთხულს სისხლს ინანიებს განგების წინაშეო.

ილ. პონტელი

ესპანის დაკარგვინა 9 მილიონი მცხოვრებელი ე. ი. მთელის სახელმწიფოს მცხოვრებელთა ერთი მესამელი.

ამ ჟამად ესპანიაში ცენზურის სასტიკად ეყრება ჟურნალ-გაზეთებს, რომ დღე არ გავა, რომელიმე გაზეთს ბეჭდვა არ აღუკრძალოს. ამის გამო მადრიდის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები რამდენჯერმე შეიკრიბნენ მოსალაპარაკებლად, სთხოვეს კდეც მთავრობას ცენზურა გააუქმეთ, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა.

საზრანგეთი. ამ ბოლოს დროს საზრანგეთის ფინანსისტა და ჟურნალ გაზეთების ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია გამოქვეყნებულმა ოფიციალურმა ცნობებმა საზრანგეთის ვაჭრობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდან, სჩანს საზრანგეთის ვაჭრობა უკან-უკან მიდის. წინადა საზრანგეთიდან უფრო მეტი საქონელი გაჰქონდათ, ვიდრე სხვა სახელმწიფოებიდან შემოჰქონდათ. ეს გარემოება ძალიან აღონებს ფრანგებს. საზრანგეთის ნაწარმოები თვით საზრანგეთშივე ვეღარ უწევს მეთაქრობას სხვა ქვეყნის ნაწარმოებს.

ნაკვეთი

— ვინ უფრო ჩქარა მოაქვს ფეს: ის, ვინც ცხენადგან ჩამოკარდება, თუ ის, ვინც სამსართულთან სხლადს ხანადგან გადმოკარდება.
— რასაკვირველია, ისა, ვინც ცხენადგან ჩამოკარდება.
— ცხენადგანაა? რადან?
— იმატომ-რომ ის უფრო ჩქარა დაეცემა ძირს.

ჟურნალ-გაზეთებისადმი

კალიფორნიისა, ტრანსვალისა, კლონდისა და ალიასკის გარდა ოქროს მადნები მოიპოვება აგრედვე ზღვაშიც. ჯერ ისევ 1872 წელს ერთმა ქიმიკოსმა ზღვის წყალში ოქრო აღმოაჩინა. ქიმიკოსმა, გვარად სუშტადტმა დიდი ყურადღება არ მიაქცია ამ აღმოჩენას; რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ზღვის წყალში ისე ძლიერ ცოტა ოქრო, რომ არც-კი ღირს იმაზედ ლაპარაკი. ესლა-კი კალუმბიის სამთადნო სკოლის პროფესორს კრუკერს მენში გაუმართავს დიდი ქარხანა ზღვის წყალიდან ოქროს ამოსაღებად. პროფესორს უკვე გაუგზავნა ნიუ-იორკში ცამეტი ნაჭერი ოქრო. ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ამ ჟამად კრუკერის ქარხანაში მუშაობს ასი მანქანა და დღეში აკეთებს 1.500 ფრანკის ოქროს. მეორე მენიერება, გვარად პარკმა ასეთივე მანქანა გამართა დიდის ოკენეს ნაპირზედ. მენიერების სიტყვით, ოკენეში აუარებული სიმდიდრე არის.

ატლანტის ოკენეში არის ერთი კუნძული, სახელად საბლ-ისლანდ, რომელსაც ზღვასწინა ატლანტის ოკენეს სასაფლაო დარქვეს. სხვათა შორის ამ კუნძულთან დაიღუპა საზრანგეთის გეო „ბურგან“. კუნძული ძლიერ პატარაა, მაგრამ ამასთან-

ვე ძლიერ საშიში. ამ კუნძულის ნაპირებთან დაშვდა და დაიღუპა სულ ცოტა 250 გემი; დაღუპულ პატარა ნაგებს ხომ თვლა არა აქვს. დიდი ხანია იმის ცდას და ფიქრში იყვნენ, რომ როგორმე გადავარჩინოთ განსაცდელისაგან გემები, რომლებიც აქედ მოდიანო. სხვათა შორის, აქ კანდილიც გამართეს, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. დიდის ბურუსის დროს გემებიდან კანდილი არა სჩანს. ესლა მხოლოდ იმის იმედი აქვთ, რომ ეს კუნძული მალე სრულებით გაქრება, რადგანაც შეჩნეულია, რომ თანდათან ძირს იწვეს და ესლა მხოლოდ ნახევარი-და დარჩა კუნძულისა.

ინგლისის პარლამენტმა გარჩია მოხსენება ერთის წევრისა ველსონისგან მოსიარულეთა შესახებ. პოლიციამ ერთხელ ორი ველსონისგან შეიპყრო და საქმის განხილვაც ამ ამბავმა გამოიწვია. ქალაქის თვითმართველობის ერთი ხმოსანი ვალდანი ამტკიცებდა, რომ პოლიციას არა აქვს უფლება ველსონისგან დაპატიმრებისა, ვიდრე გზაში არავის გაიტანსო. მინისტრმა ჯერ ამის საწინააღმდეგოდ დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ პალატის დარბაზში დიდი უკმაყოფილება ასტყდა. მაშინ მინისტრმა სხვა ხერხი იხმარა; გამოაცხადა, რომ ამიერიდან პოლიცია აღარ დაპატიმრებს ველსონისგან და მხოლოდ ველსონისგან წაართმევს ხოლმეო, პალატამ შეიწყნარა ეს დადგენილება, მაგრამ თითონ ველსონისგან სტებს-კი ეს არაფერად მოეწონათ.

დებემა

(რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან).
8 აგვისტო

პარიში. გენერალმა ცურლინდენმა უკვე დანიშნა იმ სასამართლოს წევრები, რომლის წინაშე ესტრეგაზი უნდა წარსდგეს. თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა გენერალი ფლორანტინი. გენერალი ცურლინდენი სასამართლოს წევრებს ერთის კვირის ვადას მისცემს საქმის შესასწავლად.

მადრიდი. ის კომ სია, რომელმაც კუბის ევაკუაციას თვალ-ყური უნდა ადევნოს, შესდგება გენერალის გონზალეს-პარადოსა, კონტრ-ადმირალის ნასტოსა-ლანდეროსა და კუბის კაპიტანის ფინანსთა მინისტრის მონტროსაკან.

პალატები სექტემბრის ნახევარში შეიკრიბებიან.

ლონდონი. „Times“-ს დებეშით ატკობინებენ გონკონგიდგან, რომ სამხრეთ ჩინეთში მემბოხეთ უწინდელბრ ელეტავენო. 200 მემბოხე, რომელნიც ტაი-ვან-კონს შეესვენენ, დამარცხებულ იქნენ გენერალის მას მიერ. ამასთან 100 მათგანი დახოცეს, 40 ტყვედ წაიყვანეს.

კონსტანტინოპოლი. როგორც კრიტიკიდან იუწყებიან, მამადიანთ 16 აგვისტოს მოიწადინეს გადასულიყენენ სამხედრო კორდონს რეტი-მოში, მაგრამ რუსეთის ჯარის მიერ განდევნილ იქნენ. მეორე დღეს აღმირალეებმა გარდასწყვიტეს ოსმალეთის ჯარს არავითარის მოძრაობის ნება არ მისცენ. ეს გარდაწყვეტილება ჯეკად ფაშას შეატყობინეს.

10 აგვისტო.
პეტერბურგი. პეტერბურგის სლავიანთა საზოგადოებამ მიიღო სოფილიგან დებეშები გენერლის ჩერნიავის გარდაცვალებისა გამო მინისტრ პრეზიდენტ სტოილოვისა და სოფიის ქალაქის მოურავისაგან.

ტაშკანტი. 8 აგვისტოს, გარდახდილ იქნა პანაშვილი მოედანზედ იმ სახლის წინ, სადაც სცხოვრობდა ჩერნიავი, ქალაქ ტაშკანტის დაპყრობის შემდეგ. დაესწრო ჯარი და აუარებული ხალხი.


ზარუაა. გარდახდილ იქნა პანაშვილი ჩერნიავის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: თავადი იმერეთისკი, გენერლობა ჯარი და საზოგადოება.

მადრიდი. ოფიციალური წრეები ამტკიცებენ, რომ ამბები კარლისტთა და რესპუბლიკელთა ბრბობის გაჩენის შესახებ სრულიად სიმართლეს მოკლებულია. უმნიშვნელო რამეს ძალიან აზვიადებენო. ესპანიაში სრული სიჩუმეა. დონ-კარლოსმა თავის ერთ მოაზრეს სატიკად აუკრძალა ყოველგვარი უწყობება. რესპუბლიკანელთა შორის უთანხმოებაა, ამიტომ მათ მოქმედება არ შეუძლიათ.


კონსტანტინოპოლი. საბერძნეთის მემკვიდრე მეუღლითურთ 13 აგვისტოს ერთის კვირით პეტერბურგში წავა.

განცხადება

ცნობილ ფაბრიკების




როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრამპები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვირილ-წვირილად გადახდით.

ასავლი პრეპარატები მუქთად იგზავნება,
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო ინსტიტუტისა
ბ. მ. მიჩინაინისა
музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(42-5-13)

მაილგა ხელის მოწერა რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულები, მოძღვრებანი და სხვა. მართა პირველ წიგნში, ასო ბანჰამ, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სახესებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160-200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ელირება ხელის მოწერათვის მართა 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთითავე შემოატანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდოთ; ასეთს სტატიებს მოუწერთ მათის ავტორების სახელ-ვგარს. მეორე წიგნი ასო ბანჰამ უკვე იბეჭდება და გამოვა ენციკლისთვეში.

ფულად და წერილობით უნდა გამოგზავნათ: ВЪ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10-104-7)

შავი და თეთრი კილკილი

დანაყილი და გასასყიდად დამზადებული თუნუქის დაქვერთილ თავსახურიან კოლოფებში და მშვენიერს შუშებში, 1/2-დგან 1 გირვანქამდის, დანაყილი და დამზადებული მოსკოვის

რ. კელერისა და ამხ.

ქარხანაში. ისყიდება ყველგან და ყველად ღირ ვაჭართან. ყალბ დანაყილ პილპილის დამზადება ისეთ ნაირად არის გავრცელებული, რომ ხშირად დანაყილი პილპილი უფრო იაფად იყიდება დაუნაყილზედ. ამხანაგობის იარაღი „რ. კელერი და ამხ.“ როგორც ყველას მოეხსენება, უტყუარა თავმდებია ამ საქანდას უნაკლებად დასახებას. (3-მ.-2)

ამერიკაგვასიის რკინის გზის მიმოსვლა

უმათურესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქო-დვან-ბათუმი		მატარ. № 2 ბათუმი-დვან-ბაქო		მატარ. № 3 ბაქო-დვან-ბათუმი		მატარ. № 4 ბათუმი-დვან-ბაქო	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8.33	—	—	8.35
სამტრედი	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
ევირილა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2.58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5.00	11.47	12.02	5.26	5.41
გორა	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტყვილისა	8.26	9.10	8.22	9.05	6.33	7.48	9.07	10.57
აქსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
გახვია	2.23	2.37	2.35	2.55	11.39	11.54	5.18	5.40
უჯვარა	10.43	10.53	6.08	6.20	7.39	7.49	9.4	9.24
ახვია-ბაქო	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1.25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

შენიშვნა: შავს სახესში მოქცეული საათად წუთა დაქვსა ჭინძხავს, უხაზო-დაქს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდან ვაღის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ. მეორე-სამტრედიიდან ვაღის საღამოს 7 ს. 30 წუთ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წუთ. პირველი-ფოთიდან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წუთ. და სამტრედიასში შედის საღ. 11 ს. 30 წუთ. მეორე ფოთიდან გამოდის დილის 6 ს. 27 წუთ. სამტრედიასში მოდის დილის 8 ს. 55 წუთ.

სამტრედიასა და გორას შორის; სამტრედიიდან ვაღის დილის 9 ს. 10 წუთ., რომში ჩადის დილის 10 ს. 02 წუთ. და ფოთში მატარებელი რომიდან ვაღის დილის 10 ს. 10 წუთ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წუთ.

რონიდან ქუთაისს ვაღის მატარებელი დილის 5 ს. 30 წუთ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წუთ., ქუთაისიდან რომის ვაღის მატარებელი დილის 5 ს. 20 წუთ., რომში ჩადის 5 ს. 45 წუთ.

შორაპან-რონი. შორაპანიდან ვაღის დილის 7 ს., რომში ჩადის დილის 8 ს. 11 წუთ., რომიდან ვაღის დილის 2 ს. 53 წუთ., შორაპანში ჩადის დღს 4 ს. 02 წუთ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასდებია არა სჭირდება.

რკინის გზის საგარეო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდან ვაღის დილის 10 ს. 15 წუთ., გორში ჩადის ნაშუადღევს 12 ს. 48 წუთ., გორიდან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წუთ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდან ვაღის ნაშუადღევს 2 ს. 30 წუთ., გორში ჩადის 4 ს. 53 წუთ., ხაშურში-საღამოს 6 ს. 29 წუთ., ბორჯომში-7 ს. 50 წუთ., ბორჯომიდან გამოდის დილის 1 ს. 44 წუთ., ხაშურში ჩამოდის დილის 2 ს. 54 წუთ., გორში-დღის 4 ს. 33 წუთ. და ტფილისში-დილის 7 ს. 33 წუთ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდან ვაღის ორი მატარებელი ვაღის-ერთი-დილის 8 ს. 20 წუთ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წუთ., მეორე-ტფილისიდან ვაღის ნაშუადღევს 5 ს. 20 წუთ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდან ვაღის მატარებელი ვაღის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდან გამოდის დილის 10 ს. 8 წუთ. და ტფილისში ჩამოდის-10 ს. 52 წუთ. მეორე-მცხეთიდან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წუთ., ტფილისში ჩამოდის-7 ს. 23 წუთ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდან სამი მატარებელი ვაღის-ერთი-დილის 7 ს. 15 წუთ. და ქობულეთში ჩადის-დილის 8 ს. 15 წუთ., მეორე-ნაშუადღევს 2 ს. 15 წუთ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წუთ., მესამე-ნაშუადღევს 5 ს. 15 წუთ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წუთ.; ობულეთიდან ვაღის მატარებელი ვაღის ბათუმისაკენ: პირველი-დილის 11 ს. 15 წუთ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევს 12 ს. 112 წუთ., მეორე-ნაშუადღევს 3 ს. 30 წუთ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წუთ., მესამე-ნაშუადღევს 6 ს. 45 წუთ. და ბათუმში ჩადის საღამოს 7 ს. 40 წუთ.